ვოლინში ცეცხლი წაუკიდეს ტაძარს, რომელსაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნილი თემი აშენებდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.10.2024. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ვლადიმირ-ვოლინის ეპარქია უკრაინის ვოლინის ოლქის კოველის რაიონის სოფელ სტარიე კოშარში მშენებარე ეკლესიის დაწვის შესახებ იტყობინება.

შემთხვევა 26 სექტემბერს დილით მოხდა. ტაძარი, რომელიც შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის სახელზე, ეკუთვნის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიურ თემს.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ვებგვერდის **ცნობით,** ეს ტაძარი შენდება მას შემდეგ, რაც სამრევლო თემს წინა ტაძარი ჩამოართვეს: მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სახ. ტაძარი 2019 წლის ვნების ოთხშაბათს „მეუ“-ს მხარდამჭერებმა მიიტაცეს.

ხანძრის შესახებ სამრევლოს წინამძღვარმა, დეკანოზმა ანდრეი ხომიჩმა განაცხადა. მისივე თქმით, ხანძრის მოწყობაში ეჭვმიტანილი დიდი ხნის განმავლობაში ემუქრებოდა ტაძრის გადაწვით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელს და მრევლს. ამ მუქარის შესახებ სამრევლომ თავის დროზე შეატყობინა პოლიციას შესაბამისი მტკიცებულებების თანდართვით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92321/